

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა და უნივერსიტეტში დასაქმებული ადამიანური რესურსისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით:

ა) იქმნება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტი, სადაც შესაძლებელია სტუდენტებისა და უნივერსიტეტში დასაქმებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელია ექიმი;

ბ) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრული სამუშაო განრიგით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტში მუშაობს ექიმი.

2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, კაბინეტი მოწყობილია ისე, რომ ექიმმა შეძლოს ავადმყოფის მიღება.

3. უნივერსიტეტი ვალდებულია ექიმის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით - პერიოდულად.

4. ექიმი ვალდებულია აწარმოოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სარეგისტრაციო ჟურნალი და წელიწადში ერთხელ მაინც უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

5. სტუდენტები და უნივერსიტეტში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის მუშაობის განრიგზე.

ექიმი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

6. ექიმი წელიწადში ერთხელ (უპირატესად სასწავლო წლის დასაწყისში) ატარებს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საინფორმაციო-სასწავლო მეცადინეობას სტუდენტებისათვის, ყველა ფაკულტეტზე.

7. ექიმი ვალდებულია აწარმოოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების რეგისტრაცია, შეისწავლოს მათი სამედიცინო ისტორია, უზრუნველყოს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვა, პერიოდულად გააკონტროლოს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის სტუდენტების ადაპტირების პრობები.

8. ექიმი უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი უნივერსიტეტის სველი წერტილებისა და სასადილოს ჰიგიენურ მდგომარეობაზე, აგრეთვე, უნივერსიტეტის შენობისა და ეზოს დასუფთავებაზე, შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს რექტორს.